შაბათი, 1918 წ. მაისის 25 № 93

წელიწადი მეორე

შაბათი, 1918 წ. მაისის 25 № 93

ფ ა ს ი 20 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშ..ლ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას ა.. კის..რულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

გულ დათუთქულნი მშობლები სამსონ გიორგისძე და სოფიო მიხეილის ასული ბოკერიები, ძმები-მიხეილ (მიშა) და ალექსანდრე (ალიოშა) ბოკერიები, ბებია—პელაგია კვირკელიასი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობებს, რომ პარასკევს 24 მაისს გარდაიცვალა, ქუთაისის რეალური სასწავლებლის მე-3 კლასის მოწაფე

## გიორგი (დუტუ) სამსონისძე ბოკერია.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 30 (ახ. სტ.) მაისს ნაშუადღევის 4 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე ივანოვის ქუჩა № 31. საკ. სახ. 4—1

## პროვინციელ ხელისმომწერთა საყურადღებოდ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა უკანასკნელათ აფრთხილებს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, წინაამდეგ შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს,

რომ ივნისის და ივლისის ქვემორე მოხსენებულ რიცხვებში ახალი სტილით შუადღის 12 საათიდან, ბანკში ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო მოხდება

# საჯარო ვაჭრობა

განუმეორებლათ იმ უძრავი ქონებისა შენობებით, რომელთა პატრონებმა დანიშნულ ვადაზე ხვედრი ფული ბანკის კასაში არ შემოიტანეს: საჯარო ვაჭრობა მოხდება: ქ. თფილისში, თფილისის გუბერნიაში და ქ. ყარსში მდებარე ადგილებისა—ბანკის განყოფილებაში ქ. თფილისში, ფრეილინის ქუჩაზე 1 ნომერ სახლში და ყოველივე დანარჩენი მამულებისა კი ბანკის საკუთარ შენობაში. ქ. ქუთაისის თფილისის ქუჩაზე—ის მსესხებელი, რომელიც მოისურვებს მისი მამულის საჯარო ვაჭრობისაგან განთავისუფლებას, ვალდებულია შემოიტანოს პირველი ვაჭრობის დაწყებამდე ბანკის დარჩენილი გადასახადი და პროცენტები (პენია), ვადაზე შემოუტანლობისა გამო და სხვა ხარჯები, რომელიც გამოიწვია დავალიანებული მამულის გაწერამ, ხოლო თუ პირველი ვაჭრობა არ მოხთა, ყოველივე ეს სავალდებულო იქნება მსესხებლისათვის. მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდის დაწვრილებითი აღწერა საჯარო ვაჭრობის პირობებისა და თვით გასასყიდი მამულებისა ბანკის გამგეობის მიერ გამოცხადებულია გაზეთ „კავკაზ“-ში პირველ ამა მაისს 88 ნომერში და ყოველივე ცნობები მსურველთ შეუძლია მიიღოს ბანკის კანცელარიაში ქ. ქუთაისს და ბანკის განყოფილებაში ქ. თფილისს.

| **საჯარო ვაჭრობა მოხდება:** | პირველი საჯარო ვაჭრობა ახალი სტილით. | მეორე საჯარო ვაჭრობა ახალი სტილით. |
|---|---|---|
| 1. იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქ. თფილისში, თფილისის გუბერნიაში და ქ. ყარსშია . . . . | 17 ივნისს | 2 ივლისს |
| 2. ქ. ქუთაისშია . . . . . . . | 21 ,, | 8 ,, |
| 3. რომელიც სხვა და სხვა ქალაქებში და დაბებშია ქუთაისის გუბერნიისა, ბათომის და სოხუმის ოლქებისა . | 25 ,, | 11 ,, |
| 4. იმ მამულების, რომელზედაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი . . . . . . . | 28 ,, | 13 ,, |

## აი განსაცდელი!

ქართველი ერი დღეს დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. ბევრ საგულისხმო წარსულს მოგვითხრობს ისტორია, ბევრ განსაცდელს გადარჩენია ქართველი ერი, ათასგვარ ქარტეხილს გარდაუვლია ქართველი ერის თავზე, მაგრამ ის რაც საქართველოს დაატყდა ერეკლე მეორის დროს და რაც დღეს ატყდება თავზე განშორებით მეტია წარსული დროის განსაცდელზე.

დღეს პირდაპირ დასმულია მწვავე საკითხი ერის არსებობისა. თუ ოდესმე ქართველი ერის არსებობა ძაფზე ეკიდა, დღეს უკვე ძაფიც გაწყვეტილია და ერის სიცოცხლე ჰაერში კიდია.

ავალაპარაკოთ თვით სინამდვილე.

რუსეთი აქამდინაც ჩვენ ეროვნულ სახეს სპობდა, ჩვენს გადაგვარებას აჩქარებდა, ჩვენი ქვეყნის ავლადიდებას ეპატრონებოდა, ტერიტორიას გვივიწროვებდა, ენას გვიჩაგრავდა, სარწმუნოებას გვიბღალავდა, ყოველგვარ საარსებო საშვალებას გვართმევდა—ერთი სიტყვით პოლიტიკურ ტყვეობაში მყოფს თანდათან სულს გვაძრობდა.

დღეს რუსეთი აშკარათ მტრათ გადაგვეკიდა, რასაც აქამდი ფარულათ ჩადიოდა, აწი ცხადათ ეცდება თუ მოახერხა. მთელი თავისი ქვეყნის უბედურება რუსეთს უნდა ჩვენ დაგვატეხოს თავზე და ერთი ანდაზის არ იყოს, რაც სხვას ვერ მოუხერხა იმას ჩვენ გვიპირობს. აი ეს არის რუსეთის მადლობა ასი ათასი ქართველი მხედრის ბრძოლის ველზე თავგანწირული სიკვდილის მაგიერ მოძღვნილი.

სომხები მუდამ შურის თვალით გვიცქერდენ, ენით მეზობლებს გვიძახდენ, საქმით კი ყოველ ღონეს ხმარობდენ ჩვენთვის მიწა წყალი წაერთმიათ და რუსის მთავრობის თვალში ჩვენთვის სახელი გაეტეხათ. თუმცა ჩვენდამი ცუდი გრძნობით აღვსილნი იყვნენ და მადლობის მაგიერ უმადურობას გვიზღავდენ, მაგრამ ეს უფრო დაფარული და მოკრიდებული გზით ხდებოდა, დღეს კი ორივ მხრივ დაზარალებული სომხები აშკარა მტრობას გვიწევენ და ყოველ ზომას იხმარებენ ჩვენი მომავალი გაამწარონ და დააბნელონ. უცხოეთი დღემდიც შურის თვალით გვიყურებდა, ცდილობდა ჩვენი სიმდიდრე მას ხელში ჩაეგდო და ჩვენ ხელ ცარიელი დავეტოვებიეთ. თანდათან ამას უცხოეთი ახერხებდა, მაგრამ ასე თუ ისე ერთგვარი თავაზიანობა და რაღაც კანონიერი გზა ქონდა არჩეული—დღეს კი ინგლისი და საფრანგეთი სხვა რომ არა ვსთქვათ ჩვენი მოსისხლე მტერი გახდება.

არც ოსმალეთი და გერმანია დაგვაყრის ხეირს, რადგან ჩვეულებრივ შურსა და სიხარბეს რომ არ გაყვეს, სამტეროთ ისიც იკმარებს, რომ ჩვენში ფეხგადგმული სოციალისტური მოძრაობა მათთვის საჩქაროთ ჩასაქრობი მოვლენაა.

გარეშე მტრების საფრთხე დიდია, მაგრამ კიდევ უარესია შინაური უბედურება.

რასა ვხედავთ შინ? ჩვენდა საუბედუროთ შინაური საქმეები ძლიერ აგვებურდა. რევოლუციის თავში ხალხი დემოკრატიულ რესპუბლიკას თხოვილობდა, დღეს კი გადუბრუნდა გული და ალაგ ალაგ მეფის სახეს ნატრობენ. აქამდი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს მოითხოვდენ, დღეს კი სამარცხვინოთ ბათომს ზურგი შეაქციეს და მგონი სახლის კარებიც მტერს გაუღონ.

აქამდი განათლებული კაცი ენატრებოდათ, სიამოვნებით უსმენდენ, ყურადღებით ითვისებდენ განათლების ნაყოფს, დღეს კი ნასწავლი თვალით ვერ ეჩვენებათ და ლამის „თეთრ საყელოიანი“ ცეცხლის ალში არ ჩააგდონ. აქამდი ყველას ენაზე ეკერა ძმობა, ერთობა, სიყვარული, და სხვა ასეთი მაღალი სიტყვები, დღეს კი ერთი ერთმანეთს დარევიან და ძმა ძმის სისხლს ანთხევს. გუშინდელი ჩვენი გაზეთის ქრონიკა **მოგვითხრობდა ერთ დღეს ცხრა მკვლელობას ერთ მაზრაში.** ვინ იცის კიდევ რამდენი იყო იმ დღეს **სხვა** მაზრებში? რა სახის ავკაცობა და დამნაშაობა გინდათ რომ დღეს ჩვენში ათასობით არ ხდებოდეს. როცა კაჩუხაშვილმა ლეჩხუმის მაზრა კანონს გარეშე გამოაცხადა, ჩვენ ვეუბნებოდით, რომ მაგას ნუ იზამ, თორემ მალე მთელი გუბერნია დარჩება კანონს გარეშე თქო.

აი დღეს ეს სიტყვები მართლდება, რაც ლეჩხუმში იყო ის სხვაგანაც არის. გადამდები სენივით მოედო სოფელს ბნელი რეაქციის სული და ყოველი მხრიდან უცნაური ამბები მოგვდის. შიმშილი კარზე გვადგია, მუშაობაზე გული აუცრუდათ, ავკაცობამ იმატა, ზნეობა დაეცა, ძარცვები ყველას აეშალა. ზოგი უკვე ანთებაშია, ზოგი ამის მაჩვენებელ გრადუსზე მიახლოვებულია. ყველაფერი არეულია და უიმედობით ჰაერიც მოიწამლა.

რას ფიქრობს მთავრობა? მთავრობაც დაბნეულია. მთავრობის ზრუნვა საქმეს ვერ ასწორებს. ასე გამწარებულ წუთში, როცა ერის მდგომარეობა საათობით უარესდება, როცა ყოველ წუთს მოსალოდნელია სასტიკი მღელვარება და გამანადგურებელი არეულობა, მთავრობა იმაზე მსჯელობს, ძველი სტილი დარჩეს თუ ახალი შემოვიღოთ? ვისაც ანაფორა აცვია ის მასწავლებლათ შეიძლება თუ არა? შკოლებში სამღთო სჯული იქნეს თუ გამოვრიცხოთ. მიწა შევარჩინოთ პატრონს თუ ჩამოვართვათ და სხვას მივსცეთო? გარედან საზღვრები გვენგრევა, შიგნი ცეცხლი გვიკიდია, ხალხი თავის ჭკუაზე აღარ არის, საერთო მდგომარეობა გამწარებულია და ამისთანა დროს მთავრობა რაღაც უცნაურ დეკრეტებს აღგენს და ვითომ საქმეებს აწყობს,

იყიდება: გამგზავრების გამო სახლის მოწყობილობა, ავეჯეულობა და სხვა ნივთები. იყიდება აგრეთვე **ოფიცრის ახალი პალტო ქალის პალტო** და მაუდი ქალის ბლუზისათვის. მისამართი: ბალახვანის ქ. სახ. ოლდენბურგისა. სადგომი ანდრიანოვისა. შესავალი ეზოდან, ნახვა შეიძლება დილის 11 ს. 3 საათამდის. 3—1

მაშინ როდესაც არ ვიცით ჩვენ ეზოს გარემოს ხვალ ვინ დაეპატრონება!

დიახ! დიდ განსაცდელშია საქართველო! **გარეთ მოყვარე არა ჩანს და შიგნი ჭირისუფალი.**

ასეთ პირობებში ყოფნა არ შეიძლება, ასეთი მდგომარეობა სრულიად მოგვსპობს. რაიმე საშვალებით წესიერება უნდა აღდგეს. **თუ შინაური ძალა სუსტია, მოკავშირე უნდა ვეძიოთ.**

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## დღევანდელი სოფელი.

ვგოდებთ და ვწუხვართ, როდესაც **ახლოთ** ვეცნობით, ვაკვირდებით სოფლურ საქართველოს ამ დროინდელ ვითარებას. არავის ეგონა, ვერ წარმოედგინა თუ ასეთი ბოროტებით, გახრწნილ და ანარქიულ სენით შეიფერებოდა ქართული სოფელი.

არა ჩვეულებრივი არაფერი მომხდარა-გასაკვირი არაფერია. სოფელში შექმნილი მწარე მდგომარეობა ბუნებრივი შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა პოლიტიკური ცვლილების შემდგომ ხალხის სვებედის ხელთ მპყრობი პარტია. მეორე წელია, რაც საქართველოში ძველი მმართველობის აპარატი დაიმსხვრა, ხოლო სამაგიეროთ ახალი არ შექმნილა. ბევრჯელ გვითქვამს, რომ სოფელი ყოველთვის კონსვერიულ სულს ატარებს. სოფლისთვის უმთავრობობა, უწესრიგობა სიკვდილია. მიწად მოქმედ და კერძო მესაკუთრე სოფელს უნდა შერჩეს თავის ტრადიცია. ტრადიციის გამოსახულება ასეთია: სარწმუნოება, სინდისი, თავის საკუთრების შენარჩუნება და წესიერების წყურვილი.

ასეთ სულისკვეთებით გაჟღენთილ სოფელში ამაყად შევიდენ სოციალისტები და დაუპირეს ყველაფერს წუთიერ დაკვრით „გარდაქმნა“ ძველის დაქცევის მერე არა თუ მაგარი გამგებლობა, უბრალო წესიერების დამცველი ძალა ვერ შექმნეს სოციალისტებმა. უმთავრობობამ კი, ანარქიას გაუღო კარი. სოციალისტებმა მიყვეს ხელი პარტიულ ქადაგებას. „საკუთრება ბოროტებაა, სარწმუნოება რა საჭიროა, სამშობლო ნაციონალისტების მოგონილია, მშრომელი ხალხი უნდა ებრძოლოს მდიდრებს და მღვდლებს, თუ მშრომელ ხალხს ბედნიერება წადია, ტანჯვა ვაება არ სურს, გამოჰყვეს სოციალისტებს, იმათგან მიიღებს უფასოდ მიწებს და მათი დახმარებით ალაგმავს ვაჭარს და მღვდელს!.. აი მარგალიტი სოციალისტების მოღვაწეობისა. ხალხი გაყვა, პირველ მომენტში ხალხს შეერყა თავის ტრადიცია, ვინაიდან დაიჯერა, რომ სოციალისტები სამოთხის კარს გაუღებდენ. სოციალისტებიც რიხიანად აცხადებდენ თავის ორგანოებში, რომ მთელმა საქართველოს დემოკრატიამ ჩვენ ნდობა გამოგვიცხადაო. ყოველ სოფელს გააკეთებინეს სოციალისტური დროშა, რომელზეც გამოსახული იყო მარქსის, ენგელსის და ლიბკნეხტის სახეები და ეწერა, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო.“ ერთ სოფელში მოსულმა პროპაგანდისტმა ხალხს უთხრა, დღემდის, რომ თქვენ საეკლესიო დროშას აძლევდით ფიცს, დღეიდან ამ დროშას უნდა შეფიცოთ, ეს არის თქვენი ახალი სარწმუნოება, მომნიჭებელი თავისუფლებისა, მომცემი მიწისა და დამტუქსველი მდიდრებისა.

მშვენიერი მიტინგები, ლამაზი სიტყვების უხვად ბნევა, პროპაგანდისტებს გახარებული წამოსვლა სოფლიდან აი მისია სოციალ-დემოკრატიისა. ხალხი მართლაც ერთხანს ნდობით შეჰყურებდა უხვ დაპირებათა გამცემთ... გავიდა დრო. ცხოვრება ვითარცა ყოველ დღიური, მოთხოვნილება თავის რკინის წესით წავიდა. სოფელში ნელნელა აღმოცენდა ანარქია, ხალხმა მთავრობისკენ დაიწყო ცქერა... მაგრამ არსაიდან შველა... მთავრობის ასეთ უძლურების ხანაში გამოიცა მიწის კანონი, ხალხმა, როცა გაიგო, რომ მას მიწას ციდან არავინ მოუტანდა, მთავრობის შიშს მოკლებულმა ყველგან თვითონ თავის გემოზე შეუდგა მიწის კითხვის მოწესრიგებას. კარგად უწყის მთავრობამ, რომ მიწის კანონი ნაჩვენებ სახით არც ერთ კუთხეში არ განხორციელებულა. ან როგორ განხორციელდება, როდესაც ხალხს მთავრობის მორიდება არ აქვს.. სოფლელები რწმუნდებიან, რომ ჩამოსართმევი მამულები არსად ყოფილა, ყველას დაკმაყოფილება არ შეიძლება. მოკლე ხანში განვლილმა განცდამ და მოვლენათა გაშლა-განვითარებამ სოფლის ხალხს გზა აუბნია, გააბრიოტა, ურწმუნო ჰყო. ახლა ხალხი არავის ენდობა. ამას წინად დავესწარით სოფელში ყრილობას. გამოვიდა ერთი მიწის მუშა და შემდეგი წარმოსთქვა. „გაუწყრალი, ბატონებო და იმიტომ ვლაპარაკობ, თუ არა ჩენისთანა უსწავლელმა კაცმა ვის რი უნდა ასწავლოს. თქვენ იყავით ბატონებო, რომ ყველას ბრუნდს და მართალს პირველობა უბოძეთ, გამოცდილი კაცები დაამცირეთ და მათ მაგივრად ბიჭბუჭები და გვიყენეთ, ყაჩაღები გაუშვით და ამხანაგოს ეძახით, ძარცვა გლეჯა მოვსპობთო იძახოდით და. ახლა რომ ძარცვა გლეჯაა იმისთანა მტერს ნუ მისცეს ღმერთმა, ყველა ვისაც უწინ კაპიკი არ მოეძეებოდა დღეს გამდიდრდა, სადილად ას მანეთს ხარჯავს, სააღდგომოდ ჩვენს სოფელში თითო ოჯახმა 700—800 მანეთი დახარჯა... აბა როდის იყო ბატონო, რომ ჩვენ კაცს ამდენი ხარჯვის წელი ჰქონდა... მეორე წელიწადია გადასახადს არავინ ღებულობს, ახლა ხალხიც გადაეჩვია რადგან თქვენ უთხარით რომ გადასახადები მოვსპეთო, მთავრობას არავინ ერიდება ერთმანეთს ვჭამთ, გუშინ გაგზავნეს კაცი სალდათათ დღეს თოფით დაბრუნდა უკან და ასე გვეუბნება: „არავინ. წახვიდეთ მაგ მთავრობამ გვიღალატა ნიკოლოზის მთავრობასავით ომს იწყებს, ჩვენ ისეთი მთავრობა გვინდა, რომელსაც ომი ეზარება, ასე ლაპარაკობენ ის კაცები და არ აქვთ იმის გაგება, რომ თათრები რა დღეს დაგვაყენებენ ამდენი წვალების შემდეგ არ გვინდა თქვენი არცერთი დაპირების განაღდება ოღონდ დაგვიდგინეთ რამე სამართალი, თვითნებობა მოსპეთ, ყაჩაღი და არა ყაჩაღი ერთმანეთისგან გაარჩიეთ, თუ არა სულ დავიღუპებით.“ ეს მოვისმინეთ ჩვენ იმ მიწის მუშის პირით რომელიც რევოლუციის პირველ დღეებში სოფელში პირველი მარქსისტი იყო და ხალხს „აფხიზლებდა“...

**ი. ჯიხაიშვილი.**

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ისტორია გათავდა.

რუსეთის რევოლუციას ერთი დიდი ღვაწლი მიუძღვის მსოფლიოს წინაშე: საბოლოოდ დაამსხვრია სოციალისტური უტოპიები, რომელთაც ძველის, სარწმუნებრივი უტოპიების ადგილი ეჭირათ მთელის ერთი საუკუნის განმავალობაში. და, რასაკვირველია, არა ნაკლები სხვერპლი შეეწირა, ვიდრე ძველ სარწმუნოებრივ დოგმებს.

1848 წლის მუშათა სოციალისტური აჯანყება პარიზში, 1871 წლის კომუნა პარიზსა და სხვა ქალაქებში და უკანასკნელად რუსეთის დღევანდელი რევოლუცია — ეს სამი დიდი და საშინელი სოციალური ექსპერიმენტი იყო საჭირო, რომ კაცობრიობა სოციალური ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლებულიყო, გამოფხიზლებულიყო და საოცნებო, დამათრობელ, მომჯადოებელ, გამაბრუებელ ნატვრათა ნაცვლად რეალური, განსახორციელებელი, შესაძლებელი სოციალური იდეალები დაესახა მიზნად.

და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ერთი წლის ისტორიაც — ბევრის მთქმელი ვე სოციალური ექსპერიმენტია.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა — სოციალისტური რესპუბლიკა იყო, როგორც საკანონმდებლო ორგანოსი- სეიმის — შემადგენლობით, აგრეთვე საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საქმიანობით.

სეიმის უმეტესობას სოციალიზმი — უებარ ჭეშმარიტებად. აქსიომად, მიაჩნდა და, მაგალითად, მიწის კანონი, რომელსაც არავითარი წინასწარი მზადება წინ არ უძღოდა, თვალის დახამხამებაში იქნა მოწონებული.

სამართლიანად ამბობს გაზ. „საქართველო“ (იხ. 23 მაის „საქართველო“), სოციალისტების ერთი წლის ბატონობა მძიმე ულლად აწვა ადერბეიჯანსა და სომხეთსო.

იმავე დროს, დარწმუნებული ვარ, საქართველოს არაოდეს არ დაავიწყდება ამ ულლის სიმძიმე, მარტო ის რად ღირს, ფული რომ აღარ ფულობს და მოქალაქეს საჭმელი სიმინდიც კი ვეღარ უშოვია?! და განა საქართველოში ოდესმე კაცის სიცოცხლე ღირდა ასე იაფად?! მეზობელი მეზობელს მიუსიეს, ძმა ძმას, შვილი, მამას! წესიერების აღსადგენად პარტიული რაზმები შეადგინეს, ჯარი დაარღვიეს და დაშალეს! ქვეყანა ანარქიამ მოიცვა!

და რა საკვირველია, ადერბეიჯანს, რომელიც ეთნოგრაფიულად ოსმალეთის ჩამონაკვეთია, ოსმალეთთან შეერთება რომ სწყუროდა!

მაგრამ კიდევ უფრო გასაკვირალი ის არის, რომ, როდესაც სეიმმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა და „მუსავატმა“ განაცხადა, ადერბეიჯანი ოსმალეთის წინაალმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებსო, ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ ვერც მაშინ გაიგო, რომ ადერბეიჯანს ოსმალეთთან შეერთება სწადდა!

მეორე მხრით, კარგად უნდა გვცოდნოდა, რომ გერმანია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისთვის თავს არ გამოიდებდა და ოსმალეთს, ამ ერთადერთს თავის მოკავშირეს აღმოსავლეთში არ მოიმდურებდა!

დიაღ! სოციალისტურ მთავრობას დიპლომატიაშიაც აკლდა წინდახედველობა!

და ამის შედეგი — ის განსაცდელია, რომელშიაც ჩავარდით. ოსმალეთის ჯარმა სომხეთის დედაქალაქი ალექსანდროპოლი დაიჭირა და მით ადერბეიჯანი ოსმალეთს დაუკავშირა. და სომხეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა — განქარდა.

ჯერი მიდგა საქართველოზე! გარშემო მაჰმადიანთა ქვეყნები გვარტყია. ჩრდილოეთიდან რუსეთი კავკასიის დასაპყრობად ახალ ძალებს რაზმავს. ეს საქმე ლენინმა ნიკოლოზ მეორის გენერლებს მიანდო.

რა ძალა შეგვიძლია დავუპირდაპიროთ რუსეთიდან შემოსეულ მტერს!? იმავე დროს უნდა ვიცოდეთ: თუ რუსეთის ჯარი ჩვენს ქვეყანას შემოესია, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებს და ფიზიკურად მოგვსპობს! ასეთი ყოფილა და არის რუსთა ზნე და ჩვეულება!

სავალალო ის არის, რომ, როგორც სამართლიანად ამბობს „საქართველო“, ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ ქვეყანა მოგვამდურა. ყველა მტერია ჩვენი, მეგობარი კი არავინ.

და, როგორცა ვთქვით, ამის მიზეზი — სოციალისტობაა. ჯერ ერთი, ჩვენ ოსმალეთსა და ადერბეიჯანს შორის ჩავეჩხირეთ და ორი ძმის ერთმანეთისაგან ჩამოშორება მოვინდომეთ; და, მეორე, ჩვენი შინაური, სამოქალაქო ბრძოლა და ანარქია ოსმალეთსა და, ასე გასინჯეთ, გერმანიაშიაც კი გვინდოდა გადაგვეტანა და მაშასადამე რუსეთის ბოლშევიკების კვალს მივსდიეთ.

და არ ყურადვიღეთ, რომ ჩვენი პატარა ქვეყანა საერთაშორისო გზაზეა და ნებას არავინ მოგვცემდა, რომ მსოფლიოსთვის გზა გადაგვეჭრა! იმავე დროს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს — შავქვას, ნავთს, ბამბას — საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს და მაშასადამე ჩვენში გამეფებული სამოქალაქო ანარქია — მთელ ქვეყანას უცარავს ხელს.

მაშასადამე კარგად უნდა გვცოდნოდა, რომ ჩვენს **სოციალისტურ** ანარქიულ რესპუბლიკას, რომელშიაც მოქალაქის სიცოცხლე და კერძო საკუთრება უზრუნველყოფილი არ არის, არცერთი უცხო სახელმწიფო არ აღიარებდა!

მაშ რას-ღა წარმოადგენს დღეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა?! ვინაიდან იგი არც ერთმა სახელმწიფომ არ აღიარა, — მისი ისტორია გათავებულად უნდა ჩაითვალოს და ამიერ-კავკასიის მთავრობის ზრუნვას ის-ღა უნდა შეადგენდეს, რომ ამ პოლიტიკური ხუხულის ლიკვიდაცია, რაც შეიძლება, მალე და უმტკივრად მოახდინოს.

მაგრამ ნუ თუ საქართველოს ისტორიაც გათავდაო? იკითხავს მკითხველი. თუ გონს არ მოვალთ, უეჭველია, საქართველოს ისტორიაც გათავდება. მაშ რაა საჭირო? რა გვიშველის?

თუ სოციალდემოკრატიული მთავრობა თავის პარტიულ მიზანს ქართველი ერის არსობაზე უფრო მაღლა არ აყენებს და სწამს, რომ ჯერ სოციალისტური რესპუბლიკის დრო არ დამდგარა, თავისი ადგილი ბურჟუაზიულ მთავრობას უნდა დაუთმოს, ვინაიდან მხოლოდ ბურჟუაზიულ მთავრობას შეუძლია შინ წესიერების აღდგენა და გარეთ — უცხო სახელმწიფოების ნდობის მოპოება.

**თუ** ეს არ იქნება, საქართველოს ისტორიაც გათავდება!

**ვასილ წერეთელი.**

## ოფიციალური რუსეთი და ამიერ-კავკასია

ა. ილინისაგან შემდეგი წერილი მივიღეთ;

„ერთ დროს ამიერ-კავკასიის წინაალმდეგ მთავრობის ორგანოთა ფურცლებზე სასტიკ კამპანიას აწარმოებდნენ, რასაც მარტოვმა „საარტილერიო მომზადება“ უწოდა.

უმთავრესად ამხედრებულნი იყვნენ ამიერ-კავკასიის სეიმის და კომისარიატის წინააღმდეგ. მთავრობის პრესამ ფართოთ გაავრცელა თბილისში მომხდარი ამბებით. ზრახვ... სდებდნენ სოც.-დემოკრატებს მუშების დახვრეტაში, სწერდენ კიდეც, თითქოს სოც.-დემოკრატებს სეიმის წინ სახრჩობელა აღემართონ, რომელზედაც შაუმიანის ჩამოხრჩობა ჰქონდათ აზრათ.

რომ გამერკვია საქმის ვითარება, მე რამდენიმე წერილი დავბეჭდე ამიერ-კავკასიის შესახებ. ჩვენ საკუთარი პრესა არ გვქონდა, მაგრამ თავაზიანათ დამითმეს სოც.-დემ. ცენტრალური ორგანოს — „ვპერიოდ“ ის ფურცლები.

მოვათავსე შემდეგი წერილები: „ზავი და ამიერ-კავკასია“, „აქაც პროტესტს აცხადებ“, „ამიერ-კავკასია“ „ოფიციალური რუსეთის სამსჯავროს წინაშე“, „ახლა ვამთავრებ“, და სხვა რამდენიმე შენიშვნა.

ამ წერილებმა რამდენიმეთ გაჰფანტეს ის ბურუსი, რომელშიაც ბოლშევიკები მუშებს გახვიეს.

ამიერ-კავკასიის შესახებ მე ვლაპარაკობდი მიტინგებზე, ფაბრიკა ქარხნებში და სხვა ადგილებში.

7 აპრილს მოწვეული იყო ბოლშევიკების მიერ საპროტესტო მიტინგი მენშევიკების სიმხეცის (!) წინაალმდეგ, რომელ მიტინგზედაც მეც გამოვედი, მაგრამ მე იქ არ დამამთავრებიეს სიტყვა, რასაც ვამთავრებ გაზ. „ვპერიოდ“-ში. ამასთან ერთად გიგზავნით „ვპერიოდ“-იდან ამოჭრილ ჩემს წერილს, საიდანაც დაინახავთ, თუ რა საშვალებებს არ მიმართავს ეს ხალხი...

მე სოც.-დემ. პრინციპიალური მოწინაალმდეგე ვარ, მაგრამ სოციალისტის და რევოლუციონერის ვალი იძულებულს მხდიდა პასუხი გამეცა იმ წასისინებისთვის, რასაც აწარმოებდენ ამიერ-კავკასიის წინაალმდეგ, მით უმეტეს, რომ მეც ამიერ-კავკასიელი ვარ“.

— —

აქვე მოგვყავს „ვპერიოდ“-იდან ა. ილინის შემდეგი წერილი:

„საპროტესტო მიტინგის უმცირესობამ, რომელიც 7 აპრილს იყო მოწყობილი ბოლშევიკების მიერ, მე არ მომცა საშუალება დამეთავებია ჩემი სიტყვა, მიუხედავათ იმისა, რომ კრების დიდმა უმრავლესობამ მე ამის უფლება მომცა.

რასაკვირველია, მე პროტესტს არ ვაცხადებ, უარესიც მომხდარა, მაგრამ იმ მუშებისათვის, რომელთაც ხელის აწევით ჩემი სიტყვის მოსმენის სურვილი გამოსთქვეს, მე დავასრულებ ჩემ სიტყვას პრესის საშუალებით.

მე ვსთქვი ვინ არის დამნაშავე თბილისში მომხდარ 10 თებერვლის ამბებში და ღრმათ მწამს, რომ განსაკუთრებულმა საგამომძიებლო კომისიამაც ის თქვა, რაც მე. მაგრამ რა შუაშია აქ მენშევიკები და მით უმეტეს ს.-რევოლუციონერები, რომელთა წინააღმდეგ ასე გაშმაგებით გამოილაშქრეს ლენინმა და პოდვოისკიმ?

პასუხი აშკარაა: ეს უბრალო დემაგოგიაა. მიაქციეთ ყურადღება ლენინის სიტყვას: უმთავრესად ის ამბობს თბილისის სახრჩობელაზე, რომელიც აღმართული იყო შაუმიანისთვის.

განა ეს აბსურდი არ არის?

მართალია სახრჩობელა იყო გაკეთებული, მაგრამ არა სეიმის და კომისარიატის წინ და არა მენშევიკების მიერ, როგორც ამბობს ლენინი, არამედ თათრების „მოედანზე“ თათრების მიერ, რომელიც იმავ დღეს კომისარიატის განკარგულებით მოხსნილ იქნა.

გარწმუნებთ, რომ ამიერ-კავკასიის მენშევიკები უფრო აღშფოთებულნი იყვნენ ამ მხეცური მოქმედებით, ვიდრე ბოლშევიკები, რომლებმაც „ანეგდოტი“ სინამდვილეთ მიიღეს.

განა თვითონ ორატორს სწამს ამის სიმართლე?

რასაკვირველია, არა.

მენშევიკური სახრჩობელა საჭირო იყო, ის უნდა შექმნილიყო სოციალიზმის სახელით...

პოდვოისკის სიტყვა განა ჭეშმარიტების დაცინვა არ არის?

ის გროზნის ამბების შესახებ ბრალს სდებს ჟორდანიას, გეგეჭკორს და ჩხეიძეს და ამბობს, რომ მენშევიკებმა ჟორდანიამ და სხვებმა გაგზავნეს მუსულმანები გროზნას დასარბევათ და ყუბანის გლეხების გასანადგურებლათო.

პოდვოისკიმ, ალბათ, არ იცის, რომ გროზნა და ყუბანი შედიან ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ამიერ-კავკასიასთან და არც ამიერ-კავკასიის კომისარიატს ქონდა საშვალება თავისი გავლენა გაეტარებია იქ.

მაგრამ, მე მგონია, რომ პოდვოისკიმ ყველაფერი ეს კარგათ იცის, მაგრამ ჟორდანიასი, გეგეჭკორის და ჩხეიძის „დანაშაული“ საჭირო იყო, ის უნდა შექნათ... სოციალიზმი თხოულობდა ამას...

მე ვერ დავიცავ პროლეტარიატის პარტიას და მშრომელ გლეხობას, მისი საუკეთესო დამცველია გმირული წარსული რომელსაც დღესაც იცავენ და არ ღალატობენ.

ლენინს და პოდვოისკის არ ქონდათ არავითარი საბრალმდებლო საბუთი ს. დ. და ს. რ. პარტიების საწინააღმდეგოთ, მაგრამ მაინც ბრალი დასდვეს, რომ მით საშიში კონკურენტებისათვის მასსაში სახელი გაეტეხათ მოსკოვის მუშათა საბჭოს ხელ-ახალი არჩევის დროს.

ესეც მოიმოქმედეს სოციალიზმის სახელით.

მაგრამ მარტო ამ მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდენ ორატორები, როცა ბრალს სდებდენ ზემოთ ნახსენებ პარტიებს, ჩემის აზრით ეს იმ „საარტილერიო მზადების“ გაგრძელებაა, რომელზედაც წერდა ამხ. მარტოვი.

აი ამიტომ, სანამ საპროტესტო მიტინგის რეზოლიუციას ხელს მოაწერდეთ და ქვას ესროდეთ „კონტრევოლიუციონურ“ ამიერკავკასიას, უნდა დაფიქრდეთ ამის შედეგებზე, უნდა დასვათ საკითხი: იქნება თუ არა ეს გადაწყვეტილება ძმების ზურგიდან დანის ჩაცემა იმ დროს, როცა ისინი ოსმალეთის და გერმანიის იმპერიალიზმთან ბრძოლით სისხლიდან იცლებიან?

ნუ აღრმავებთ ამიერ კავკასიის მცხოვრებთა ჭრილობებს.

ნუ აღმართავთ რუსულ გოლგოთას სომხეთისა და საქართველოსათვის, თუმც ეს თქვენ დაგჭირდეთ... სოციალიზმისათვის“. („ერთობა“).

# პრესა.

**ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მტრების სიხარული.**

გაზ. „საქართველო“ (№ 98 ში) ეხება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მდგომარეობას, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობით გულმოშხამულ რუსთა სისინს და შემდეგს სწერს:

როგორც უკვე იყო აღნიშნული გაზეთებში, მოსკოვის ბოლშევიკურმა მთავრობამ მოითხოვა მისი წარმომადგენელის გაშვება ბათომის კონფერენციაზე. რა უნდა გააკეთოს რუსეთის წარმომადგენელმა ბათომის კონფერენციაზე, რას იტყვის, ან რას მოითხოვს ის, ჩვენი ფანტაზია ამას ვერ აღწევს. ჩვენის ფიქრით ბოლშევიკურმა რუსეთმა უკვე შეასრულა თავისი როლი კავკასიის შესახებ, ეს იყო ბრესტში და ეხლა ბათომისკენ ცქერა და ახალ პრეტენზიების გამოჩენა, მხოლოდ ბალღური ცნობის მოყვარეობაა უნიჭო ბოლშევიკ დიპლომატების მხრივ. მას შემდეგ რაც ამიერ-კავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თითონ გახდა თავისთავის პატრონი, ყოველივე ლაღადი ბატონ ჩიჩერინისა, რომ რუსეთი არ ცნობს კავკასიის ჩამოშორებასო, მხოლოდ ფორმალური პროტესტია, რომელიც ზურგ გამაგრებული არ არის არც არგუმენტის ძალით, არც ხიშტის ძალით. ამიტომ ძნელი წარმოსადგენია ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს ოსმალეთზე, რომ მან საჭიროდ დაინახოს რუსეთის წარმომადგენელის დაშვება ბათომის მოლაპარაკებაზე. მაგრამ ოსმალეთის დელეგაციის გარდა ბათომში გერმანიის დელეგაციაც არის, რომელიც, ჩვენთვის ჯერ გაუგებარ მიზეზების გამო, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას არ სცნობს და რუსეთზე გვითითებს, რომლისგანაც უნდა მოვიდეს, ვითომც, თანხმობა ამ დამოუკიდებლობაზე. შესაძლებელია ამ გარემოებამ ბევრი გაუგებრობა დაბადოს. ამით შეუძლიანთ ისარგებლონ დამოუკიდებლობის მტრებმა და კვლავ გააჩაღონ აგიტაცია-პროპაგანდა რესპუბლიკის წინააღმდეგ და რუსეთის სასარგებლოთ. და „ნაროდნაია სვობოდა“ უკვე სჩადის ამას.

რუს კადეტების ორგანო სიხარულით ფეხის წვერებზე დგება და უკვე ვსთლის იმ დღეებს, როცა რუსეთი ისე დაბრუნდება ამიერ-კავკასიაში. მისის აზრით ეს არამც თუ მოხდება, ეს მოხდება უსათუოდ. კამათი ასეთ თავაშვებულ ცენტრალისტებთან და რუსის იმპერიალისტებთან საერთოდ ძნელია, მით უფრო ისეთ საკითხებში, რომელიც „დიდ“ რუსეთს შეეხება, მაგრამ ჩვენ მაინც შევეკითხებით: ნუ თუ მართლა ჰგონია გაზეთს, რომ კავკასია დაუბრუნდება რუსეთს? ეს რომ მოხდეს ან თვით კავკასია უნდა წავიდეს, მართლა, რუსეთთან, როგორც ეს იმ ასი წლის წინედ მოხდა, ან თვით რუსეთი უნდა „დაბრუნდეს“ ისევ კავკასიაში. მაგრამ შესაძლებელია ეს? პირველი შეუძლებელია და კავკასია თითონ ვერ წავა რუსეთთან. ასი წლის წინეთ თვით საქართველომ გაიწია რუსეთისკენ და ეს შესაძლებელი იყო, რომ საქართველოს როლი, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, დიდი იყო მაშინ. ეს როლი ეხლა მთლად მუსულმანებს ეკუთვნით. და თუ რანაირ იწევენ მუსულმანები რუსეთისკენ, ჩვენზე უკეთ ეს რუსის შოვინისტებმა იციან. რაც შეეხება საქართველოს ვერც ის გასცვლის თავის დამოუკიდებლობას, თუ ჩვენ თავი ავართვით ამ აწეწილ დროს, რუსულ ცენტრალიზმს. მაშასადამე დარჩა ერთი შესაძლებლობა, როცა თვით რუსეთი უნდა „დაბრუნდეს“ კავკასიაში. შეუძლიან ეს რუსეთს ეხლა? ვიდრე იქ ბოლშევიკები არიან ბატონ-პატრონი, ამას ვერც თითონ შესძლებენ, ვერც კავკასიელები მოისურვებენ მათ ბატონობას. და როცა რუსეთში ბოლშევიკები აღარ იქნებიან, უნდა იმედი ვიქონიოთ, დამოუკიდებელ კავკასიის ერთა ბედი ისე იქნება მოწყობილი, როცა ისე ადვილი აღარ იქნება რუსეთის მოსვლა. ასეთია პერსპექტივები და მაშასადამე ნაადრევია ის სიხარული, რომელიც თითის წვერებზე აყენებს რუს ცენტრალისტებს და შოვინისტებს.

იმპერიალისტ რუსების მაგვარი უტიფრობა-კადნიერება არ გვიკვირს, რადგან სოციალისტური მთავრობა დროზე არ შეუდგა მათ ალაგმვას და ამით გზა ხსნილი დაუტოვა გველურ შხამის სანთხევად. საუბედუროდ ეს ასეა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რუსებმა თუ კი მათ ისე გააფრთოვეს რუსული ფანტაზია, რომ იმპერატორ ავგუსტსავით, რომელსაც რომი უავგუსტოდ ვერ წარმოედგინა, სჯერათ, კავკასია კვლავ გახდება საიმპერიო საპატრონები, ისიც უნდა უწყიდენ რუსმა ვაჟბატონებმა, რომ მათ ხელახლად კავკასიაში არვინ მოუშვებს. შეიძლება იმათ ახარებს ის ისტორიული **შეცდომა**, როდესაც საქართველოს სახელმწიფომ საშველად ხელი გაუწოდა ჩრდილოეთის ვერაგს და ჰგონიათ, რომ მომავალშიც ასე მოხდება... ცუდათ სჯიან!..

კავკასიაში რუსებს დასაყრდნობი მეგობრები არ შერჩათ, ყველა მათ მოსვლის საათს წყევლის და წასვლის ჟამს ლოცავს... ამის შემდეგ რუსის კადეტები კიდევ იმედოვნებენ კავკასიაში „ბრძანებლობის სკიპტრის დაუფლებაზე“... მაგრამ რა, დონკიხოტს ცოტა იმედი ჰქონდა!...

*
* *

**უძღვნი კატო მიქელაძეს.**

როცა იმედის ჩაქრა ლამპარი,
და ტანჯულ სულში მხოლოდ ბნელოდა,
როს ნორჩი გული სევდით დამდნარი
არვის უხმობდა, არვის ელოდა,

როცა ცხოვრების მკაცრ ქარიშხალში
მიდუნდებოდა ღონე და ძალა,
როცა ტანჯვების ვიწოდი ალში
და მეგობრებიც შამომეცალა,

როს რწმენა შთანთქა ურწმუნოებამ
და სიყვარულიც ჩამოკვდა გულში
როს ქვეყნიურმა ამაოებამ
გადამისროლა შავბნელ უფსკრულში,

სასოწარკვეთილი გზა აბნეული
უიმედობის კლანჭებში ვთრთოდი,
იკეცებოდა ყოფნის რვეული
და მოთმინებით სიკვდილს ველოდი,

ამ დროს მოხვედი და მითხარ მტკიცეთ:
ადექ. აიღე შენი ფარხმალი,
ჩვენ შრომა გვმართებს, ჩვენ დავამტკიცებთ
რომ ძლიერია ბრძოლაში ქალი.

გავსწყვიტოთ ჯაჭვი, ავიღეთ მაღლა
ვევავეთოთ წყვდიადს თავგანწირულად
ნუ დავეცემით თუ ვიგრძნით დაღლა
მოვკვდეთ ამაყად, მოვკვდეთ გმირულად.

და გამოგყევი... ღონე მიხდილი
ზეზე წამოვდექ ბედიდან კრული,
გავხდი ძლიერი, როგორც სიკვდილი
და გაბედული ვით სიყვარული.

შენ სიმართლის ხარ ერთგული მცველი,
გრძნობით მდიდარო, სულით ძლიერო,
ჰა, ჩემი გული, ჰა, ჩემი ხელი,
ვით საჩუქარი სამაგიერო.

**საფო მგელაძე.**

## მიწად-მოქმედების მინისტრისაგან.

(ცირკულიარული განკარგულება საგუბერნიო სადგილ-მამულო კომიტეტებს და მიწად-მოქმედების ემისარებს).

სამინისტროში მიღებულია ცნობები, რომ საადგილ-მამულო რეფორმა ბევრ ადგილას მეტად ნელად მიდის. მიმღები კომისიები ამა თუ იმ მიზეზების გამო ხშირათ სწყვეტენ მუშაობას. ზოგიერთ ადგილას ასეთი კომისიები ჯერაც არ არიან დაარსებულნი. წინადადებას გაძლევთ თქვენ დაუყონებლივ მოაწყოთ მიმღები კომისიები და მიიღეთ ყოველგვარი ზომები, რომ მათი მოქმედება არ იქნას შეწყვეტილი. ემისარებს არ შეუძლიათ მოშორდენ „კომანდიროვკის“ ადგილებს ჩემ ნებადაურთველად. მიმღებს კომისიებს არ აქვთ უფლება მუშაობა შესწყვიტონ საგუბერნიო ან სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტის დაუკითხავათ.

განმარტებების მისაღებად შეიძლება მიმართოთ წერილობით ან დეპეშით აგრარული რეფორმის განყოფილებაში, რომელიც არსებობს მიწად-მოქმედების სამინისტროსთან.

უნდა გაძლიერებულ და დაჩქარებულ იქნას ჩაბარება ჩამორთმეული მამულების. მოვალეობათ ვუხდი საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტებს წარმოადგინონ ყოველ კვირას მოკლე ანგარიშები მიმღები კომისიების მოქმედების შესახებ; ანგარიშში უნდა აღინიშნოს რაოდენობა ჩამორთმეული ადგილების და თუ სად რომელი დაბრკოლება შეხვდა და როგორ იყო დაძლეული ის.

თუ რომელიმე ადგილას ანარქიის ანუ სხვა რომელიმე დაბრკოლების გამო გვიანდება და ფერხდება რეფორმის გატარება, ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობეთ სამინისტროს.

ის პირი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს რეფორმის გატარებას, პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული 7 მარტის კანონის მე-7 მუხლის ძალით.

მიწად მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

## სეიმში.

მაისის 22 ს მოხდა სეიმის განსაკუთრებული სხდომა ზავის შესახებ. სხდომა დახურული იყო.

## მთავრობაში.

ფინანსთა სამინისტრომ მოხსენება წარადგინეს იმის შესახებ, რომ შეწყვეტილ იქმნას რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო სესხის კუპონების (ობლიგაციები) დახურდავება განაღდება, ეს ზომა ერთი მხრით გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამიერ-კავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მეორე კიდევ იმან, რომ კერძო ბანკებმა და სავაჭრო დაწესებულებებმა კარგი ხანია უარჰყვეს ხსენებულ კუპონების დახურდავება—მიღება.

— საზოგადოებრივ მზრუნველობის სამინისტროს მთავრობამ დაავალა გაუადვილოს სომეხ გამოქცეულებს კავკავისკენ მგზავრობა, გზა და გზა მოაწყოს მკვებავი პუნქტები, იკისროს საქართველოს სამხედრო გზის დაცვის ყურის გდება და თვით ქ. კავკავში იყოლიოს წარმომადგენელი გამოქცეულთა ინტერესის დასაცავად.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მიიღოს ზომები ეგრედ წოდებულ „გაერთიანებულ კომიტეტების“ წინააღმდეგ, რომლის მოქმედებაც მიმართულია კავკასიაში სამხედრო დაწესებულებათა მუშაობის შესაჩერებლად.

## ამიერ-კავკასიის ცხოვრებიდან.

მთავრობამ დაადგინა, რომ დაკმაყოფილებულ იქმნას ბათომის სამხედრო ნავთსადგურის მუშების თხოვნა. ჯამაგირები გადიეცეს სამხედრო მინისტრის რწმუნებულს.

—ფინანსთა სამინისტროს წინადადება მიეცა გადასდოს 41,000 მან. სამხედრო ტყვეების დასახმარებლად.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა მთავრობას სთხოვს ოთხ მილიონამდე სესხს, რომელიც უკვე დაუხარჯავს რკინის გზის მმართველობას დღევანდელ განსაკუთრებულ მდგომარეობით გამოწვეულ საჭიროებისათვის.

გაზ. „ბორბას" ატყობინებენ, რომ გურიაში დახოცეს ოფიცერი ბერიძე, დეკანოზი დუმბაძე და გრ. ქარცივაძე, რომელთაც გაზეთის თქმით ოსმალებთან ურთიერთობას დაჭერა ბრალდებოდათ.

—ყაზბეგის რაიონის კომიტეტი ატყობინებს მთავრობას, რომ მისდამი რწმუნებულ რაიონებში არც კოოპერატივები და არც კერძო სავაჭროები ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონებს (ქაღალდის ფულს) აღარ ღებულობენ და თხოულობს რადიკალურ ზომების მიღებას.

## ქ. ფოთი

მთავრობამ ფოთის ქალაქის თვითმმართველობას შეატყობინა, რომ სხვადასხვა ქონება ქალაქში უნდა ენერგიულად იქმნას დაცული, როგორც სახელმწიფოს კუთვნილება. ამავე დროს მთავრობამ სამხედრო სამინისტროს დაავალა გაგზავნოს ფოთში თავის წარმომადგენელი ფოთის ნავთსადგურის უფროსის დასანიშნავად, რომელიც დროებით დაექვემდებარება ფოთის ქალაქის თვითმართველობას და წინადადება მისცა ფოთის ქალაქის გამგეობას აღწერით ჩაიბაროს ქალაქის სხვადასხვა ქონება.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში.

**მთავარ კომიტეტის გაფართოვებული კრება.**

კვირას მაისის 26-ს დილის 10 საათზე გაიმართება საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის კრება პროვინციის კომიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები მომენტის შესახებ. პროვინციის კომიტეტებმა უნდა გამოგზავნონ თავთავიანთი წარმომადგენლები შესაფერის მანდატებით.

## ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**ავიატორი ქებურია.** ცნობილმა ავიატორმა ქებურიამ ქალაქის თვით მართველობას თხოვნით მიმართა, რომ მას უშოვნონ საჭირო ადგილი ჰაეროპლანების და სხვა ქონების დასაწყობად. ბ. ქებურიას განზრახვა ჰქონია ქუთაისში გახსნას პრაქტიკური საავიაციო სკოლა.

**რევოლუციონერი ტრიბუნალი** რევოლუციონურმა ტრიბუნალმა ავადმყოფი საქონლის დაკვლისათვის თითო თვით დაპატიმრება მიუსაჯა შემდეგ ყასბებს: ტარასი ჯიქაძეს, ალექსანდრე გიორგაძეს, ვარდენ ჩირაძეს, ვასილ დოლომიდე ფურცხვანიძეებს, იორდანე გოგიტიძეს, ბეგლარ ჯანგავაძეს, გიორგი გოგორიშვილს, მიხეილ ჯავახაძეს და ნიკოლოზ თაკზაროვს. ხსენებულმა ყასბებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ ეს სასჯელი ფულის გადახდით შეცვალოს.

**ქალაქის საბჭოს მორიგი კრება** შესდგება 28 მაისს.

**მოხელეთა შორის.** მოხელეთა კავშირმა დაადგინა კავშირთა კავშირის კრება ხდებოდეს თვეში სამჯერ 10, 20 და 30 რიცხვებში.

**შემოსავალ გასავალი ქალაქის სასურსათო კომიტეტისა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტს გასული წლის სექტემბრიდან მდგომარე წლის მარტამდის შემოსავალი ჰქონია 4,296,208 მან. და 92 კაპ. გასავალი კი 4,22,3,763 მან. და 26 კაპ.

**მცხოვრებთა რიცხვი.** სასურსათო კომიტეტის სტატისტიკური ცნობით ქუთაისში ირიცხება 75,784 მცხოვრები. სულ 13,384 ოჯახი.

**საქონელის შემოზიდვა და გაყიდვა.** მდგომარე წლის მარტის განმავლობაში ქუთაისში შემოუზიდავთ და გაუზიდავთ, 329,015 მანეთისა და 72 კაპ. საქონელი.

**მასწავლებელთა კავშირთა კავშირიდან გამორიცხვა.** რადგანაც კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირთა კავშირის წევრების არც ერთ მუხლს არ დაემორჩილა, ამისთვის კავშირმა 15 მაისის კრებაზე დაადგინა: კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია გამორიცხონ კავშირიდან და ეს აცნობონ საოლქო კავშირს, რომ იქიდანაც იქნენ გამორიცხულნი.

**სააბრეშუმო სადგ. გარშემო.** მთავარ მეაბრეშუმის ი. ქუთათელაძის მეთაურობით ქუთაისში დაარსდა სააბრეშუმო სადგური, ამ დაწესებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი გუბერნიის მეაბრეშუმეთათვის. ამ დღეებში ამის შესახებ ხსენებული ქუჩის მცხოვრებთა მიერ ხელმოწერილი საჩივარი შემოვიდა ქალაქის თვითმართველობაში და მოითხოვენ სადგურის ამ ქუჩიდან გადატანას. აღნიშნავენ, რომ სადგურის მეოხებით სანიტარული მდგომარეობა უარესდებაო. ქალაქის გამგეობამ ადგილობრივ გაგზავნა სპეციალი კაცები და გამოკვლევის შემდეგ დაადგინეს, რომ სადგური მცხოვრებლებს ხელს არ უშლის რაც, თავის ადგილზე დარჩება.

**მკვლელობა.** სოფელ წყალთაშუაში 10 მაისს ერასტი თოდუას და დესპინე გაბედავას თავს დაესხა გრ. თოდუა და კალისტ. გაბედავა და სროლა აუტეხეს. სროლის დროს მოჰკლეს დესპინე გაბედავა, ერასტი თოდუამ გაქცევით თავს უშველა. მკვლელები დააპატიმრეს.

**დაჭერილთა ჩამოყვანა.** ხონიდან ქუთაისში ჩამოიყვანეს და საგუბერნიო ციხეში მოათავსეს 10 კაცი, მათ შორის დაპატიმრებულია მასწავლებელი გიორგი ბახტაძეც.

**სიმინდზე თავისუფალი ვაჭრობა.** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა, დაადგინა აღძრას შუამდგომლობა გუბერნიის სასურსათო კომიტეტის წინაშე რათა გუბერნიაში აშვებულ იქმნეს სიმინდზე თავისუფალი ვაჭრობა.

**დიდი სეირნობა.** ხვალ, 26 მაისს ქალაქის ბაღში ქარ. შორ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოდ გაიმართება დიდი ტრადიციული საღამო.

**ფასები სანოვაგეზე.** გუშინ ქუთაისის ბაზარზე ფუთი სიმინდის ფქვილი ფასობდა 40-45 მანეთად, ლობიო კი 16-18 მანეთად.

**სავალდებულო დადგენილება.** თანახმად ამიერ-კავკასიის მთავრობის დეკრეტისა (8 საათის სამუშაო დღე 8, 15, 16,) ბავშების ზედმეტი მუშაობა აკრძალულია. ნაშუადღევის 5 საათზე ყველა ბავშვი 17 წლამდის სახელოსნოში, თუ სავაჭროში მომუშავე განთავისუფლებული უნდა იქნეს. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, სამართალში მიეცემა და ექვსი თვით დაპატიმრებით დაისჯება.

ქუთ. გუბ. შრომის კომისარი **გ. ფალავა.**

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ჩვენ გაზეთში „ლეჩხუმის არეულობაში" შეცდომით არის მოხსენებული კოპალიანის მოკვლა და კუჭუკო მდივანის დაჭრა. კოპალიანი დაჭრილია, ხოლო კუჭუკო მდივანი დატუხაღებული.

**„მოწაფის დღიური."** ითარგმნება სახელგანთქმულ იტალიელ მწერლის დეამიჩის თხზულება „მოწაფის დღიური." წიგნის გამოცემა იკისრა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ. მთარგმნელი ია ეკალაძე.

**მშობელთა წრის კრება.** სამშაბათს, ოცდა რვა მაისს, საღამოს ხუთ საათზე, წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია ამავე სასწავლებლის მოწაფეებ.ს **მშობელთა წრის კრება:**

## მ ა რ ი ო რ ი ც ა.

ზაფხული..

ციგანთა ტაბორი...

გაშლილი მიდორი...

მხიარულობა, გიჟური ზეალტაცება...

ა.

მიდვრის ერთ მხარეს, იქ სადაც პატარა, ანკარა მდინარე მირაკრაკებს, გაშლილია კოხტა კარავი.

კარვის წინ დაფიქრებული ზის ციგანთა ტაბორის თვალი, სიამაყე.

მარიორიცა.

მისი შავი, მწვავე თვალები უძიროა, ხავერდოვანი, გამოუთქმელ მწუხარებით სავსე.

მარიორიცა დაფიქრებულია.

მოწყენით შორს გაიცქირება.

მის თვალწინ იშლება საუცხოვო, მომხიბვლელი, სანეტარო სურათები.

მარიორიცა მდიდრის ცოლია. მის ბრძანებას უთქმელათ ასრულებენ. იგი ქალბატონია. ბედნიერი წუთები!

ეტლით მიქრის ქმართან ერთად სადარბაზოთ. მისი ეშხითა და ჩაცმულობით გაკვირვებული მგზავრები უხმოდ, თითქოს ჰიპნოზით შებყრობილნი ქუჩაში ჩერდებიან და სანამ ეტლი არ იმალება, ადგილიდან არ იძვრიან.

ბედნიერია მარიორიცა, ბედნიერი!

ანაზდათ მის თვალწინ მეორე სახემ აშოიტივტივა: მოწყენილმა, ნაზი სიყვითლით, სიყვარულით სავსე თვალებით.

იგი მარიორიცას შეყურებს.

მას მარიორიცა უყვარს

მისი სატრფო ალეკო.

ვინ, ვინ იცის რამდენი ბედნიერი წუთები გაუტარებიათ ალეკოსა და მარიორიცას ერთად.

შეეკითხეთ მთვარეს, თითქოს უძილობით ფერმკრთალს, რამდენი უძილო ღამეები გაუტარებიათ ორთავეს მის მფარველობის ქვეშ.

როგორი გიჟური ვნება, ზეალტაცება, შესაძლებელი მხოლოთ მათი ტემპერამენტის ხალხისათვის!

კითხეთ ვარსკვლავებს, რამდენჯერ დარჩენილან მათი უდროო ჩქარი გაქრობით გულდაწყვეტილნი შეყვარებულები.

ასე გადიოდა დრო!

დღე ტაბორი, მხიარულობა...

ღამეობით ერთმანეთთან ყოფნა, უზომო გატაცება დილამდის.

დაირღვა მყუდროება.

ფუფუნებამ სილატაკეში დისონანსი შეიტანა.

მათთან ხშირი სტუმრობა გრაფ დევილის.

მისი სიმდიდრე, ფულები.

მისი ახოვანი მოყვანილობა, სილამაზე.

რისთვის, რისთვის მაშინ გაჩნდა გრაფი, როცა მარიორიცას უკვე ალეკო უყვარდა? რისთვის ადრე არ გაჩნდა, ან რათ იყო საჭირო მათი ტანჯვაში ჩაგდება?

გრაფს მარიორიცა უყვარს.

მარიორიცას მისი სიმდიდრე აბრმავებს, მისი მოქცევა-გაზრდილობა აოცებს.

მარიორიცას შეუძლია იგი შეუყვარდეს. იქ ფუფუნებაა, სიმდიდრე... იქ სიყვარულია. მაგრამ განა ალეკოს მარიორიცა მთელი თავის არსებით, მთელი თავისი გიჟური ზეალტაცებით არ უყვარს?

გრაფსაც უყვარს.

მას უპირატესობა ეკუთვნის: იგი მდიდარია.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ფიქრობს, ოცნებობს მარიორიცა...

ათასგვარი აზრი გაუელვებს თავში...

იქ ტკბილი მოსვენება, აქ კი მთელი დღე მუშაობა, ვიღაცას ფულებისთვის უნდა იმღეროს, იმხიარულოს, როდესაც იგი სრულებით არ არის სიცილის ხასიათზე.

ბ.

ზამთარი...

თოვლით დაფენილია სატახტო ქალაქის ქუჩები...

მცხოვრებლები ცდილობენ სიცივეს გაექცენ...

საღამოა...

თეთრად ანათებს თოვლი.

ქუჩები განათებულია.

მდიდრულად მოწყობილ სახლის წინ წამ და უწუმ ეტლები ჩერდება.

ერთი მეორეს სცვლის.

ექიმები მიდი-მოდიან.

ავათ არის მდიდრის ცოლი.

მას კრიზისი აქვს.

შუაღამე..

ქუჩებში სიწყნარეა...

გრაფის ცოლის ოთახიდან ისევ სინათლე სჩანს...

ქუჩაში, ფანჯრის ძირს, გიტარით ხელში, დაწეწილ კონკებში, დგას ციგანი.

ფანჯარას შესცქერის...

მოსთქვამს სიმღერა დაკარგულ ბედნიერებაზე...

სიყვარული აფერადებს მომღერლის სიტყვებს...

სიყვარულის ფიცი, მთვარიან ღამეების მოგონება, მისი ტანჯვა, როცა გაიგო, რომ მისი საყვარელი ტაბორიდან გაიქცა: გრაფს წაყვა.

ვინ იცის რამდენი მწუხარება გადაიტანა ალეკოს გულმა.

რამდენი უძილო ღამეები გაუტარებია...

დღე კი ისევ იცინოდა, მხარულობდა.

სიცილი-ტირილი!

ვინ იყო მისი მანუგეშებელი, მისი დარდის გამზიარებელი?

როცა გაიგო მარიორიცას ავათმყოფობა აქეთ გამოსწია, რომ შინ თუ არა, გარეთ, ფანჯრის ძირს, მაინც ემღერა მისი საყვარელი სიმღერა.

მწუხარებით სავსე მისი სიმღერა!

მარიორიცა სწუხს: მას ტკივილები სტანჯავს.

იგი შფოთავს.

და აი, ანაზდათ ყური მოკრა მის სიმღერას...

რამდენჯერ უმღერია მთვარიან ღამეებში ალეკოს მისთვის ეს სიმღერა...

მარიორიცა ველარ ისვენებს...

მოგონებები თანდათან გახურებულ რკალივით ეხვევიან...

მარიორიცა სმენათაა გადაქცეული.

მისი ტაბორი, ამხანაგ-მეგობრები...

რამდენი ბედნიერი წუთები გაუტარებია მათთან...

სიმღერა კი კვლავ სტირის დაკარგულ ბედნიერებაზე, უდროოდ დაკარგულ სიყმაწვილეზე...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გათენდა...

მუშებს ძვირფასი კუბო შეაქვთ გრაფის სახლში...

მარიორიცა მდიდრულათ დაასაფლავეს..

ქუჩაზე მიყინული ალეკო მორგში გააგზავნეს მისი ვინაობის აღმოსაჩენათ.

მაისის 18.

1918 წ.

**შ. ლეკვიაშვილი.**

## უკანასკნელი ცნობები.

ოსმალეთის მთავრობამ ამიერ-კავკასიის სამშვიდობო დელეგაციას ამიერ-კავკასიის რკინის გზით სარგებლობა მოსთხოვა.

—ოფიციალ ცნობათა მიხედვით ოსმალნი თბილისისკენ მოდიან შარა გზით და მათ უკვე აუღიათ ვორონცოვკა. (კახეთშია).

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა